პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი
8 დეკემბერი
1954 წელი
№ 98 (800)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ვიბრძოლოთ ფრენბურთის მაღალი კლასისათვის

სპორტის სახეობათა შორის, რომლებიც ჩვენს დიად საბჭოთა ქვეყანაშია დანერგილი, ერთ-ერთი პოპულარული და მასობრივია ფრენბურთი. მას თამაშობენ ყველგან — უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებსა და პიონერთა ბანაკებში. სპორტის ამ სახეობის სექციებში ჩაბმული არიან როგორც ახალგაზრდები, ისე ხანდაზმული ადამიანები.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ფრენბურთის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გვაჩნია. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, სპორტულ საზოგადოებებში დაბალ დონეზეა დაყენებული სექციური მუშაობა. იგი ხშირ შემთხვევაში თვითდინებაზეა მიშვებული. ამას ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები სპორტული ბაზების ნაკლებობით ხსნიან. მართალია, ჩვენს რესპუბლიკაში ფრენბურთის მოედნები წლითიწლობით მცირდება, მაგრამ ფიზკულტურული ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან პირველ რიგში თვით იზრუნონ სპორტული ბაზების მშენებლობისათვის, შეუქმნან ახალგაზრდებს სპორტის ამ სახეობაში ნორმალური მეცადინეობის საშუალება.

ფრენბურთის მასობრიობისადმი ნაკლებმა ყურადღებამ შედეგად მოგვცა ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე გუნდები საკავშირო მნიშვნელობის პირველობებში წლების განმავლობაში დაბალი შედეგებით გამოდიან. ეს უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ ჩვენი წამყვანი გუნდები არასისტემატურად მეცადინეობენ, მათ წვრთნას უმთავრესად სეზონური ხასიათი აქვს. ამასთან შესამჩნევია მოთამაშეთა ტექნიკური ილეთების ერთფეროვნება. უკანასკნელ დროს ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდები თანაბარი სიძლიერით თამაშობენ, როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში, რაც საშუალებას აძლევს მათ წარმატებით განახორციელონ მრავალი კომბინაცია. რესპუბლიკის ახალგაზრდებში ფრენბურთის მოწინავე ტექნიკის დანერგვას კი რატომღაც გაურბიან ჩვენი მწვრთნელები. ალბათ იმიტომ, რომ იგი მეტ მუშაობას მოითხოვს.

ფრენბურთელთა ოსტატობის შემდგომ ამაღლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხშირად მოწყობილ შეჯიბრებებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქართველოში უკანასკნელ წლებში ძალზე შემცირდა ასეთი სახის ღონისძიებები. იშვიათად ტარდება საქალაქო, საუწყებათაშორისო პირველობები, ამხანაგური შეხვედრები. რამდენიმე წლის წინათ თბილისში ამხანაგურ მატჩებს ატარებდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების ძლიერი გუნდები. მაგრამ რატომღაც ეს კარგი ტრადიცია დავიწყებას მიეცა. ამაში, რასაკვირველია, პირველ რიგში დამნაშავეა ფრენბურთის რესპუბლიკური სექცია, რომელიც რესპუბლიკაში ფრენბურთის განვითარებისათვის ძალზე ცოტას აკეთებს.

ცუდი მდგომარეობა გვაქვს აგრეთვე ფრენბურთის მოედნების მშენებლობის საქმეში. თბილისში არსებული ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა — კიროვის სახელობის პარკში — კალათბურთელებს გადაეცა, ხოლო ფრენბურთელები აქ იშვიათი სტუმრები არიან.

ფრენბურთელის დაოსტატებაში გადამწყვეტი როლი სპორტის ამ სახეობის მწვრთნელს ეკუთვნის. მან მონდომებული მუშაობით უნდა აღზარდოს მაღალი კლასის სპორტსმენები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქაც არ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. მწვრთნელების უმრავლესობა მუშაობს შაბლონურად, ახალგაზრდა სპორტსმენებს სუსტად გადასცემს ფრენბურთის მოწინავე ტექნიკას. ეს იმიტომ, რომ ბევრი მწვრთნელი რამდენიმე ადგილას მუშაობს და ერთი გუნდის წვრთნის დამთავრების შემდეგ სხვა გუნდის სავარჯიშოდ გარბის. ასეთებია რ. კაზარიანი, რომელიც წვრთნის თბილისის განათლების განყოფილების, უცხო ენათა ინსტიტუტისა და სამედიცინო ინსტიტუტის ფრენბურთელებს, შ. მარგიშვილი — „დინამოს“, თბილისის განათლების განყოფილებისა და პიონერთა სახახლის სპორტსმენებს და სხვ.

ამას წინათ მუშაობა დაამთავრა ფრენბურთის საკავშირო სექციის თათბირმა, რომელმაც დასახა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ფრენბურთში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. შეიცვალა სსრ კავშირის პირველობის ჩატარების სისტემა. მომავალ შეჯიბრებაში სსრ კავშირის პირველობას ერთმანეთს შეეცილება „ა“ კლასის 10 და „ბ“ კლასის 18 კოლექტივი. „ა“ კლასის გუნდებთან ჩამოყალიბდება მოზარდთა გუნდები, რომლებიც პირველობას გაითამაშებენ „ა“ კლასის გუნდების ჩემპიონატთან ერთდროულად.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურის ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა მოკლე დროში აღმოფხვრან ფრენბურთის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებები, მომავალი წლის სპორტულ კალენდარში შეიტანონ რაც შეიძლება მეტი ღონისძიება სპორტის ამ სახეობაში, ხელი შეუწყონ რესპუბლიკაში ფრენბურთის სპორტის მასობრიობას, ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდის საქმეს.

პრაღის დიდ ჯილდოზე

პრაღაში სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ზამთრის დარბაზში მიმდინარეობდა კალათბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი „პრაღის დიდ ჯილდოზე“. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის, ვარშავის, ბუდაპეშტის, პარიზის, სოფიისა და ჩეხოსლოვაკიის (პრაღის ნაკრები და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები) გუნდები.

5 დეკემბერს დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი პრაღის დიდ პრიზზე.

ადგილები ტურნირში შემდეგნაირად განაწილდა: პირველი ადგილი დაიკავეს მოსკოველმა კალათბურთელებმა, რომლებსაც აქვთ ექვსი გამარჯვება, მეორე — პრაღის კალათბურთელებმა — 5 გამარჯვება და ერთი დამარცხება, მესამე — სოფიის კალათბურთელებმა — 4 გამარჯვება და ორი დამარცხება, მეოთხე — ვარშავის, მეხუთე — ბუდაპეშტის, მეექვსე — ჩეხოსლოვაკიის ქალთა ნაკრებმა გუნდმა, მეშვიდე — პარიზელმა კალათბურთელებმა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მოსკოვის კალათბურთელთა გუნდს გადაეცა პრაღის დიდი პრიზი.

პირველი გამარჯვება

კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის პირველობის დამთავრების შემდეგ შეიქმნა ნაკრები გუნდი, რომელიც საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად კლასიკურ ჭიდაობაში ლიბანსა და ეგვიპტეში გაემგზავრა. გუნდის შემადგენლობაში არიან ი. კოტკასი, გ. კარტოზია, ა. ტერიანი და სხვ.

საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი შეხვედრა ჩაატარეს ლიბანის ნაკრებთან და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 8:0.

ანგარიშით — 1:0

ტირანა. აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ალბანეთის დედაქალაქის ნაკრებ გუნდსა და ლენინგრადის „შრომით რეზერვებს“ შორის.

შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით — 1:0 საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით.

სურათზე: შეჯიბრების ლიდერი ლ. ვოლპერტი (მარცხნივ) ეთამაშება მსოფლიო ჩემპიონ ე. ბიკოვას.

XVI ჩემპიონატი

კრასნოდარი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). მეცხრე ტურში მაყურებელთა ყურადღება მიიპყრო შეჯიბრების ლიდერის ვოლპერტის პარტიამ მოსკოველ სტრანდსტრემთან. პარტიის დასაწყისში ვოლპერტმა პერსპექტიული მდგომარეობა მიიღო. მაგრამ შემდგომ ბრძოლა არაენერგიულად წარმართა და შეცდომებიც დაუშვა. სტრანდსტრემმა კარგად გამოიყენა ვოლპერტის სუსტი თამაში და მას პირველი დამარცხება მიაყენა. გურფინკელმა მოუგო ლაუბერტს. იგნატიევამ ჩუდოვას მეფეზე პაიკებით გააფრთებული იერიშით მოიგო პარტია. ბიგლოვა და ზატულოვსკაია ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამ დღეს ხუთი პარტია დაუმთავრებელი დარჩა. კაკაბაძეს ზედმეტი პაიკი აქვს ტიხომიროვასთან პარტიაში.

X ტურში საქართველოს ჩემპიონი ე. კაკაბაძე შეხვდა ვოლპერტს. ცხარე ბრძოლის შემდეგ შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მეთერთმეტე ტურში კაკაბაძემ უნარიანად გამოიყენა ბიგლოვას შეცდომები. იგი შეიჭრა მეფის ფრთაზე და მრავალფეროვანი მუქარებით აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო. ამრიგად, კაკაბაძეს XI ტურის შემდეგ აქვს 4,5 ქულა და ერთი მოსაგებ მდგომარეობაში გადადებული პარტია.

ტურნირს ლიდერობს ლ. ვოლპერტი, რომელსაც აქვს 8 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

გროსმაისტერები ა. კოტოვი და ს. ფლორი თბილისში

საქართველოს საჭადრაკო სექციის მოწვევით თბილისში ჩამოვიდნენ საერთაშორისო გროსმაისტერები ალექსანდრე კოტოვი და სალო ფლორი

გროსმაისტერებს ა. კოტოვსა და ს. ფლორს კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობა. ა. კოტოვი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გროსმაისტერია. მან პირველი ადგილი დაიკავა ვენეციის 1950 წლისა და სტოკჰოლმის 1952 წლის საერთაშორისო ტურნირებში. მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონის სახელზე პრეტენდენტთა 1950 და 1953 წლების შეჯიბრებებში. 1948 წელს კოტოვმა გროსმაისტერ დ. ბრონშტეინთან ერთად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი.

გროსმაისტერ სალო ფლორს მრავალ საერთაშორისო ტურნირში საგულისხმო გამარჯვება მოუპოვებია. მას სხვადასხვა დროს დაუმარცხებია ლასკერი, კაპაბლანკა, ეივე და ბოტვინიკი, ხოლო 1939 წელს მსოფლიო ჩემპიონის სახელზე უნდა ეთამაშა მატჩი ა. ალიოხინთან. მაგრამ დაწყებულმა მეორე მსოფლიო ომმა ამას ხელი შეუშალა. ფლორი პროფესიით ჟურნალისტია.

6 დეკემბერს გროსმაისტერმა ა. კოტოვმა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე. „საბჭოთა მოჭადრაკეები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჰოლანდიაში“. გროსმაისტერმა მსმენელებს მოუთხრო ამა წლის ზაფხულში საბჭოთა მოჭადრაკეების, რომელთა შორის კოტოვიც იყო, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის შესახებ. მან ილაპარაკა ამერიკაში სპორტის დეგრადაციისა და უგულებელყოფის შესახებ. აგრეთვე დაწვრილებით მოუთხრო XI საჭადრაკო ოლიმპიადაზე საბჭოთა მოჭადრაკეთა გუნდის ბრძოლაზე.

ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია და გროსმაისტერს მრავალი შეკითხვა მისცეს.

ამავე დღეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს გროსმაისტერ ს. ფლორს. სააქტო დარბაზში ჭადრაკის მრავალი მოყვარული შეიკრიბა. სტუდენტებმა სტუმარს მიართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგული.

დამსწრეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს გროსმაისტერის ლექცია თემაზე: „საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბელგრადში“. ს. ფლორმა დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა საჭადრაკო სკოლის მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებულ წარმატებებზე.

შემდეგ ს. ფლორმა ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი 32 დაფაზე. გროსმაისტერს მოუგეს იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა ნიბლია უგრეხელიძემ, ქიმიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა გ. კვეზერელმა და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ბ. გოგიშვილმა. ყაიმს მიაღწიეს: ფიზიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა კ სულაძემ და I კურსის სტუდენტმა ნ. აბულაძემ, ეკონომიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა გ. გედენიძემ, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ლიანა ხაჭაპურიძემ, ა. თაყაიშვილმა, ასპირანტმა ი. ხმალაძემ და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა დ. გვრიტიშვილმა. დანარჩენი 22 პარტია ს. ფლორის გამარჯვებით დამთავრდა.

გროსმაისტერმა ს. ფლორმა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს მადლობა გადაუხადა გულითადი მიღებისათვის.

საკავშირო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

ლენინგრადი. (ჩვენი სპეც. კორ.). 5 დეკემბერს ლენინგრადში დაიწყო საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. წინა წლებისაგან განსხვავებით წლევანდელი ჩემპიონატის დებულება შეცვლილია. თუ უწინ საპატიო პირველი ადგილისათვის გუნდურ ჩათვლაში იბრძოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის მოჭიდავეთა ნაკრები კოლექტივები, წელს შეჯიბრებაში გამოდის უწყებათა ნაკრები გუნდები.

6 ნოემბერს გვიან ღამე დამთავრდა მესამე წრის შეხვედრები. ჯერჯერობით ლიდერთა ჯგუფში არიან: უმჩატეს წონაში მამაჯანოვი (0 ქულა) მონასელიძე (1 ქულა), რომელმაც დაამარცხა გასული პირველობის პრიზიორი მკრტიჩიანი, სიაღოვი (1 ქულა), რომელმაც ქულებით მოუგო ცალქალამანიძეს. მჩატე წონაში — გიგიაძე და მამედბეკოვი (0 ქულა), ავეტიანი, რომელმაც დაამარცხა მაისურაძე.

ქვემსუბუქ წონაში არც ერთი საჯარიმო ქულა არა აქვს ბარნაბიშვილს. ერთი საჯარიმო ქულით არის მუზაშვილი. სოლოიდს აქვს ორი საჯარიმო ქულა. მსუბუქ წონაში წინ არიან გაბარაევი — 0 ქულა, ბესტაევი — 0 ქულა, ილურიძე — 1 ქულა და დადაშევი — 1 ქულა.

ქვესაშუალო წონაში სამი შეხვედრიდან სამი მოგება აქვს მსოფლიო ჩემპიონს ბალავაძეს. მან მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად დახარჯა ოთხ წუთზე ნაკლები დრო. არც ერთი საჯარიმო ქულა არა აქვთ ამ წონაში კაჩაევს და შაბანოვს. ერთი საჯარიმო ქულით ლიდერთა ჯგუფში არის ახალგაზრდა მოჭიდავე დავლიანიძე.

საშუალო წონაში წინ არიან სხირტლაძე და საარი — 0 ქულა. ციმაკურიძეს და სიხარულიძეს აქვთ თითო საჯარიმო ქულა. ლიდერთა ჯგუფში არის აგრეთვე პრეობრაჟენსკი.

ქვემძიმე წონაში წინ არის კულაევი (არც ერთი საჯარიმო ქულა). გასული წლის ჩემპიონს დაუშვილსა და მსოფლიო ჩემპიონს ენგლასს აქვთ თითო საჯარიმო ქულა.

მძიმე წონაში არ მონაწილეობს მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მეკოკიშვილი. აქ ჯერჯერობით წინ მიდიან მდინარაძე 0 საჯარიმო ქულა, კანდელაკი — 1 ქულა, ტრისბურგი 1 ქულა.

ი. ალიხანოვი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის

უკანასკნელ წლებში სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურმა საბჭომ საგრძნობლად შეასუსტა მუშაობა. იგი წლების განმავლობაში არავითარ პრაქტიკულ დახმარებას არ უწევს ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს, რის გამო ჭიათურის, ტყვარჩელის, ტყიბულის, ქუთაისის, ბორჯომის, ახალციხისა და ბათუმის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და სახელოსნო სასწავლებლებში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული.

ბევრ ორგანიზაციაში მოუწესრიგებელია აღრიცხვა. ჩატარებული ანგარიშგება-არჩევნების მასალები არასწორადაა გაფორმებული. მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში საწევრო ანარიცხების აკრეფის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 32 პროცენტით.

სათანადოდ ვერ მუშაობენ რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის სექცია და ცენტრალური სპორტული სექციები. მიმდინარე წელს ტანვარჯიშის სექციას (უფროსი მწვრთნელი კეზელი) არც ერთი თანრიგოსანი არ მოუმზადებია. კრივის ცენტრალურ სექციაში (უფროსი მწვრთნელი ნავასარდოვი, მწვრთნელი გასპარიანი) მომუშავე 10 ჯგუფში გაერთიანებული 52 სპორტსმენიდან 41-ს არავითარი კავშირი არა აქვს „შრომითი რეზერვებთან". ფიზკულტურის 30 ფასიანი ინსტრუქტორიდან ათი არასპეციალური ფიზკულტურული განათლებით არის.

ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილა „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა და აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მიიღო სათანადო ღონისძიება. აღიძრა შუამდგომლობა „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ სამმართველოს წინაშე, რათა სათანადო დახმარება აღმოუჩინოს „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ საბჭოს.

• • •

ისე დამთავრდა მიმდინარე, 1954 წლის სეზონი, რომ ბოგდანოვკის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს (თავმჯდომარე ლ. გრიგორიანი) ოდნავადაც არ შეუწუხებია თავი ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის. კომიტეტში არ აქვთ დოკუმენტები სპორტული თანრიგების მინიჭების შესახებ, ბრძანებათა წიგნი დაკარგულია, კომიტეტის სხდომების ოქმები, დოკუმენტების უმეტესობა ფიქტიურია. რაიონში ჩაშლილია მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა, განიცდიან სპორტული ბაზების ნაკლებობას, საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილი მხოლოდ ფეხბურთელთა გუნდისათვის დახარჯეს.

ბოგდანოვკის რაიაღმასკომმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეუთანხმებლად თანამდებობიდან გაათავისუფლა ლ. გრიგორიანი და ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა მ. პუტულიანი.

აღნიშნულის საფუძველზე ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა თანამდებობიდან გაათავისუფლა ლ. გრიგორიანი და კადრების განყოფილებას დაავალა შეარჩიოს ბოგდანოვკის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურა.

მოსწავლეთა საშემოდგომო სპარტაკიადები

დამთავრდა ორჯონიკიძის რაიონის მოსწავლეთა საშემოდგომო სპარტაკიადა. კალათბურთში საშუალო სკოლებიდან პირველ ადგილზე გამოვიდა დაბა ორჯონიკიძის მეორე საშუალო სკოლა. რვაწლიან სკოლებს შორის გაიმარჯვეს სალანძილის ვაჟთა და ლაშის ქალთა გუნდებმა.

მძლეოსნობაში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა მოსწავლემ. ცალკეულ სახეობათა მიხედვით გამარჯვებულნი გამოვიდნენ მ. ბლიაძე, გ. გოგოლაძე, გ. ხარაძე, ჯ. მაღრაძე და ე. ლაცაბიძე.

გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა ხუნევის საშუალო სკოლის მოსწავლეთა კოლექტივს.

კ. ნოზაძე

ჩვენ გვწერენ

მივიწყებული ახალგაზრდები

ხალხმრავალია შორაპნის რკინიგზის კვანძი. გარდა წარმოება-დაწესებულებებისა აქ ორი საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლაა. ახალგაზრდების ფიზკულტურული წრთობისათვის კი თავს არავინ იწუხებს. შორაპანში კალათბურთისა და ფრენბურთის ერთი მოედანი და ერთი სპორტდარბაზია, სადაც არავითარი სექციური მუშაობა არ მიმდინარეობს.

ერთ დროს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, რომელიც კვანძის კლუბშია მოთავსებული, დღეს შემკეთებელ სახელოსნოდ გადააქციეს, ერთად-ერთი ძელი და შტანგა კი ბნელ კუთხეშია მიგდებული. თავისუფალ დროს დარბაზში ხშირად ნახავთ თვითმოქმედ წრეებს. სავაგონო და საორთქლმავლო დეპოების ფიზკულტურელებმა საკუთარი ძალით ჩამოაყალიბეს ფეხბურთელთა გუნდი, შეიძინეს ფორმა და რაიონულ გათამაშებაშიც კი მიიღეს მონაწილეობა. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელთაგან მივიწყებულ შორაპნელ ახალგაზრდებს ერთი იმედი აქვთ. ისინი დახმარებას „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოსაგან მოელიან.

ჟ. გელაშვილი

ერთი წარმოების მოჭადრაკენი

ხაშურის საელმავლო დეპოში არსებობს ჭადრაკის წრე, რომელსაც უფროსი ინჟინერი პ. დათებაშვილი ხელმძღვანელობს. წრეში გაერთიანებულია ჭადრაკის 26 მოყვარული.

ხშირად ტარდება მეცადინეობა, საუბრები ჭადრაკის შესახებ. ახლახან შეძენილია დამატებით ჭადრაკის რამდენიმე კომპლექტი, მოჭადრაკეთა წრის მუშაობის შესახებ პერიოდულად თავსდება წერილები დეპოს კედლის გაზეთ „მეელმავლეში". ამას წინათ დეპოში ჩატარდა მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 14 კაცმა. გამარჯვება მოიპოვა მემანქანე ვ. ჭიპაშვილმა.

დიდი ინტერესი გამოიწვია მოჭადრაკე ს. გუგუნავას ლექციამ თემაზე: „საბჭოთა მოჭადრაკეები უძლიერესნი არიან მთელ მსოფლიოში" და ერთდროული თამაშის სეანსმა, რომელიც მან დეპოს მოჭადრაკეებს ჩაუტარა.

დ. ფარემუზოვი

„პედაგოგიური კითხვა"

ფიზიკური აღზრდის დარგში ბევრი საკითხი ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული და სრულყოფილად შესწავლილი. ამ საკითხების გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა ითამაშოს მოწინავე მასწავლებელთა და მწვრთნელთა გამოცდილებამ. ამიტომ აუცილებელია მოწინავე გამოცდილების შესწავლა, ანალიზება, განზოგადება და მის საფუძველზე დასკვნების გაკეთება, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისა და მწვრთნელების ჩაბმა ფიზიკური აღზრდის საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების ორგანოები პედაგოგიური ინსტიტუტების სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ატარებენ „პედაგოგიურ კითხვას". ეს მუშაობის ახალი ფორმაა, რომელიც ტარდება სკოლის მუშაკთა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილების გაზიარებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

„პედაგოგიური კითხვის" დანიშნულება მარტო ამით როდი ამოიწურება. მისი მიზანია ხელი შეუწყოს აგრეთვე სკოლის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას და ჩააბას ისინი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის აქტუალური საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას და პედაგოგიური მეცნიერების წინსვლას.

„პედაგოგიურ კითხვაზე" წაკითხული საუკეთესო მოხსენებები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ყოველწლიურად გამოაქვს კონფერენციებზე, რომლებიც სისტემატურად ტარდება ინსტიტუტში საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში. მასში მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის, როგორც დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის მასწავლებლები, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, ისე განათლების ორგანოების სხვა მუშაკებიც. პედაგოგიურ კონფერენციებზე მოწონებული მოხსენებები იბეჭდება და ქვეყნდება ყოველწლიურად კრებულის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები და მწვრთნელები ჯერ კიდევ არ არიან ფართოდ ჩაბმული ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში. გასულ წლებში ჩატარებულ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციებზე მხოლოდ რამდენიმე მოხსენება იყო წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის დარგში და ისიც სათანადო დამუშავებასა და გაფორმებას მოითხოვდა.

მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი დროულად შეუდგა პედაგოგიური კონფერენციისათვის მზადებას, დაგზავნა ადგილებზე „პედაგოგიური კითხვის" სანიმუშო თემატიკა, რომელშიც გარკვევით და ნათლად არის მოცემული და გამუქებული დასამუშავებელი საკითხები, ქალაქისა და სოფლის სკოლებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების მზადება მომავალი „პედაგოგიური კითხვისათვის" ჯერჯერობით მაინც სუსტია.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა და მწვრთნელთა „პედაგოგიურ კითხვაში" მონაწილეობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გაშლიან ადგილებზე მუშაობას პედაგოგიური ინსტიტუტების შესაბამისი კათედრები. ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ აგრეთვე ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტს და ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საქმეში განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა.

გ. ჯაფარიძე,
საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

სპორტსაზოგადოებათა კონფერენციები

◆

ყველაფერი რიგზე როდია

„პიშჩევიკის" V რესპუბლიკურ კონფერენციაზე მომხსენებელმა სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგემ რ. პოლიტოვმა და მოკამათეებმა: სიხარულიძემ (აფხაზეთი), ახალაიამ (ზუგდიდი), კვარაცხელიამ (ქუთაისი), კოტრიკაძემ (მახარაძე), კაკალოვმა (გორი), ე. ეიდელსონმა („პიშჩევიკის" ცენტრალური საბჭო) და სხვებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში გაიზარდა „პიშჩევიკის" წევრთა რიცხვი, საგრძნობი მუშაობა ჩატარდა ფიზკულტურული კოლექტივების გამსხვილების მიზნით. საწყლოსნო სპორტში რესპუბლიკისა და ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები ალანია, ჩილინგარიდი, ლისიკოვი, გავრილიდი და სხვები ბათუმის „პიშჩევიკის" აღზრდილები არიან. საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობაზე საქართველოს „პიშჩევიკის" სპორტსმენებმა ხუთი გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თბილისის შამპანკომბინატის სტადიონის, მარგარინის ქარხანაში სპორტდარბაზისა და სხვ. მშენებლობა.

კონფერენციაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ნაკლოვანებათა მხილებასა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა დასახვას. აღინიშნა, რომ ძირეული საბჭოების უმრავლესობა სუსტად იბრძვის კოლექტივების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. აჭარაში სათანადო ყურადღება არ ექცევა სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ფეხბურთი, ძალოსნობა. სუსტად მუშაობდა ველოსექცია.

უფრო ცუდად გამოიყურება აფხაზეთის „პიშჩევიკის" განვლილი საქმიანობა. აქ ადგილი ჰქონდა ხელმძღვანელ სამუშაოებზე ფიზკულტურის არასპეციალისტთა დანიშვნის ფაქტებს.

მშთ კომპლექსის ახალი ნორმატივების შემოღების საპასუხოდ ბევრ ძირეულ კოლექტივში დღემდე არაფერი გაკეთებულა, არ მომხდარა მათი განხილვა, არ ცდილობენ გარდაქმნან მუშაობა ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

კონფერენციაზე განსაკუთრებით მწვავედ იდგა ბაზების მდგომარეობის საკითხი. მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ ბათუმის საწყლოსნო სადგური შეკეთებას მოითხოვს, განიცდიან საჭირო ინვენტარის ნაკლებობას.

ცალმხრივი და არათვითკრიტიკული იყო კაკალოვის (გორის საქალაქო საბჭო) გამოსვლა. მან სუსტ დახმარებაზე უსაყვედურა რესპუბლიკურ საბჭოს, არაფერი თქვა თავის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება და აირჩია საბჭოს ახალი შემადგენლობა.

გაიზარდა საზოგადოების წევრთა რიცხვი

ამას წინათ ჩატარდა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „კრასნოე ზნამიას" რესპუბლიკური საბჭოს IV კონფერენცია, რომელზეც მოსმენილ იქნა ი. ჯიშკარიანის საანგარიშო მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „კრასნოე ზნამია" აერთიანებს 16 რაიონულ და თბილისის 28 წარმოება-დაწესებულების ფიზკულტურულ კოლექტივს, რომლებმაც განვლილ პერიოდში მთელი რიგი ღონისძიებები გაატარეს ფიზკულტურული მუშაობის გაშლისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მშთ ნიშნოსნების მომზადებასა და თანრიგოსნების გამოვლინებას. საგრძნობლად გაიზარდა საზოგადოების წევრთა რიცხვი. წევრთა რაოდენობის ზრდის მიხედვით აღსანიშნავია გორის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ცხაკაიას ტყავფეხსაცმლის ფაბრიკისა და სხვათა ფიზკულტურული კოლექტივების ნაყოფიერი მუშაობა.

— მაგრამ ჩვენს მუშაობაში, — აღნიშნავს მომხსენებელი, — ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს. მაგალითად, ქუთაისის მე-4 ძაფსაღები ფაბრიკის ფიზკულტურულმა კოლექტივმა ორი წლის მანძილზე ვერ გაზარდა წევრთა რაოდენობა, ახალბედა სპორტსმენების გამოვლინებისა და ფიზკულტურული კოლექტივების ზრდაში კარგი მდგომარეობა არც მახარაძის ძაფსაღებ და არც მე-3 ფეხსაცმლის ფაბრიკას, „გლავტობუვს", მოდების სახლსა და სხვებს აქვთ. მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებების პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოწყვეტილი არიან ფიზკულტურულ ცხოვრებას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. დვალმა (თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი), რომელმაც ილაპარაკა კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის წარმატება-ნაკლოვანებებზე; ა. ხურციძემ (ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი), ე. დოროშენკომ (მახარაძის ძაფსართავი ფაბრიკა) და ვ. ქურციკაშვილმა (თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა). კამათში მონაწილეთა გამოსვლები არ იყო კრიტიკული, არ ამხელდნენ თავიანთი და რესპუბლიკური საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

კონფერენციამ რესპუბლიკური საბჭოს განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და დასახა სათანადო ღონისძიებანი. არჩეულია საბჭოს ახალი შემადგენლობა.

საზოგადოებრივ კადრებზე დაყრდნობით

შედგა „ისკრის" IV რესპუბლიკური კონფერენცია, რომელმაც მოისმინა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ვ. კანკაძის საანგარიშო მოხსენება. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა საქართველოს „ისკრის" სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ წარმატებებსა და მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე. აღინიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით მიმდინარე წელს საზოგადოებრივ კადრებზე დაყრდნობით საგრძნობლად გარდაიქმნა მუშაობა და მთელ რიგ წარმატებას მიაღწიეს. გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსნებისა, თანრიგოსან სპორტსმენთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმა. სათანადო მუშაობა ჩატარდა მასწავლებელთა ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცებისათვის. საზოგადოების სპორტსმენებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების პირველობებში.

აღინიშნა აგრეთვე ნაკლოვანებები. მთელი რიგი რაიონული და საქალაქო საბჭოები დღემდე ჩამორჩებიან გეგმების შესრულებასა და მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში. ეს ითქმის გორის, ბორჯომის, მარნეულისა და სხვა რაისაბჭოების შესახებ.

ფოთის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით „ისკრის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობიდან ოთხი თვის წინათ გაათავისუფლეს ბუაძე, მაგრამ მისი შემცვლელის გამოძებნა დღემდე ვერ შეძლეს. მარნეულის რაისაბჭოს თავმჯდომარესა და მწვრთნელს ი. ჩხაიძეს მიმდინარე წლის იანვრიდან არ მიუღია ხელფასი.

ბაკურციხის (გურჯაანის რაიონი) 8 წლიანი სკოლის მასწავლებელთა კოლექტივის მოჭადრაკეთა სექცია ერთ დროს კარგად მუშაობდა, მაგრამ ახლა დირექტორმა ჭადრაკის კომპლექტები დამალა და აკრძალა თამაში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს შენგელიამ (ზუგდიდი), დადიანმა (სამხრეთ-ოსეთი), სპორტის ოსტატმა გ. კოშაძემ, ს. საყვარელიძემ (ზესტაფონი), ჯაფარიძემ (ქუთაისი), მგალობლიშვილმა (გორი) და სხვ. მათ ამხილეს რესპუბლიკური საბჭოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი და აირჩია საბჭოს ახალი შემადგენლობა.

შეხვედრა პამირის ექსპედიციის მონაწილე ალპინისტებთან

ამას წინათ ალისფერყელსახვევიანი პიონერებით აივსო ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კლუბი. ქალაქის სკოლების პიონერებმა შეხვედრა მოუწყვეს 1954 წლის ივლის-აგვისტოში პამირის მთების სარეკორდო ასვლების ექსპედიციის მონაწილე ოთხ მამაც მთასვლელს ა. ნემსიწვერიძეს, ლ. ახვლედიანს, გ. ყალაბეგიშვილსა და გ. იაშვილს.

საპატიო სტუმრებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს მოსწავლეებმა: ჰ. ბერიძემ, გ. ძოწენიძემ, დ. ნარეშელაშვილმა, დ. კუჭაიძემ, მ. ბალანჩივაძემ, ც. ქაჯაიამ და ლ. აბზიანიძემ.

პამირის ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ პიონერებს ვრცლად ესაუბრა ალპინისტი ა. ნემსიწვერიძე.

დასასრულ მოსწავლეთა ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი.

ზ. მესერიძე

მწვერვალ «რუსთაველზე»

ამას წინათ მწვერვალ „რუსთაველზე“ ახალი გზით ავიდა ექსპედიცია ალპინისტების მ. კობიძის (ხელმძღვანელი), ი. ბერუაშვილის, ძ. მარუშაშვილის, ვ. ინასარიძის, დ. პეტრიაშვილის შემადგენლობით. ექსპედიცია უმთავრესად დაკომპლექტებული იყო სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სპორტსმენებისაგან.

ი. ხაგეიშვილი

სკოლის პირველობაზე

საინტერესოდ ჩატარდა ბათუმის ალ. ყაზბეგის სახელობის საშუალო სკოლის საჭადრაკო პირველობა.

წარმატებით ითამაშა მოსწავლე თ. ერემაშვილმა, რომელმაც 11 შესაძლებლიდან 10,5 ქულა მოაგროვა და სკოლის ჩემპიონი გახდა.

შაშის პირველობაში გაიმარჯვეს გ. მელიამ და ნ. ნოღაიდელმა.

მ. მშვიდობაძე

მატჩი არ დამთავრდა

მეტად საინტერესო გამოდგა სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის რესპუბლიკური თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები ფეხბურთში. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ რუსთავის „მეტალურგი“ და სტალინირის „სპარტაკი“. ანგარიშით 5:3 მატჩი მოიგო „მეტალურგმა“.

ქუთაისში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი. დინამოელებმა კარგად ჩაატარეს მატჩი და რესპუბლიკის ჩემპიონი დაამარცხეს ანგარიშით 4:1.

5 დეკემბერს თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სტადიონზე შედგა თასის ფინალური მატჩი რუსთავის „მეტალურგსა“ და ქუთაისის „დინამოს“ შორის.

თამაშის პირველ წუთებზევე დინამოელთა კართან შეიქმნა მწვავე მომენტი და მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ „მეტალურგმა“ გახსნა ანგარიში. ქუთაისლებმა მარცხს კონტრშეტევით უპასუხეს. განსაკუთრებით აქტიურობდა „დინამოს“ მარცხენა გარემარბი ბაზაძე, რომლის მოწოდებიდან ზობოხიძემ მე-8 წუთზე გაათანაბრა ანგარიში—1:1. ორი წუთის შემდეგ ჯავახაძემ „მეტალურგის“ კარში გაიტანა მეორე ბურთი და პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:1 ქუთაისის „დინამოს“ სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის 23-ე წუთზე ქუთაისელთა მეკარე ნ. ნადარეიშვილი გაძევებულ იქნა მოედნიდან და მის მაგივრად კარს იცავდა ერთ-ერთი მცველი. მალე ანგარიში გახდა 2:2. არც დარჩენილ დროს და არც დამატებით 30 წუთს ცვლილება არ მოუტანია — შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2.

6 დეკემბერს ეს გუნდები განმეორებით შეხვდნენ ერთმანეთს. დასაწყისიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს დინამოელებმა, რომლებიც კარგა ხნის განმავლობაში უტევდნენ მოწინააღმდეგეს. 22-ე წუთზე მათ გახსნეს ანგარიში და მალე ნახევარმცველმა წვერავამ მეორე ბურთიც გაიტანა—2:0. „მეტალურგი“ მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდა, მაგრამ ვერ შეძლო რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება. შემდეგ ქუთაისელთა კართან შეიქმნა სახიფათო მდგომარეობა, რომლის დროს მცველებმა დაარღვიეს წესი. მსაჯმა ვ. შავდიამ დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზუსტად იქნა რეალიზებული—2:1. რამდენიმე წუთის შემდეგ „მეტალურგის“ მარცხენა შუამარბი ი. ბურჭულაძე კარგად გავიდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ სამი მეტრის მანძილიდან ააცილა ცარიელ კარს.

ამის შემდეგ შეჯიბრებამ დაკარგა სპორტული სახე. რუსთავის ფეხბურთელებისაგან გახშირდა უხეშობა, მსაჯი იძულებული გახდა მოედნიდან რამდენიმე მოთამაშე გაეძევებინა, ბოლოს თამაშიც შეწყვიტა და რუსთავის „მეტალურგს“ წაგება ჩაეთვალა. კონსტიტუციის სახელობის თასი და პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა ქუთაისის „დინამოს“.

• • •

რედაქციისაგან. სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის ტრადიციული გათამაშების ფინალური მატჩი ქუთაისის „დინამოსა“ და რუსთავის „მეტალურგს“ შორის არ დამთავრდა. იგი თამაშის მეორე ნახევრის 24-ე წუთზე შეწყდა.

რატომ შეწყდა მატჩი, რომელსაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა? რუსთავის ფეხბურთელებმა მოედანზე აშკარა უხეშობას მიჰყვეს ხელი. გუნდის მოთამაშე და მწვრთნელი ა. ბურჭულაძე განუწყვეტლივ ეკამათებოდა მსაჯს, რითაც ცუდ მაგალითს აძლევდა თავის პარტნიორებს. მსაჯმა ვ. შავდიამ იგი სამართლიანად გააძევა მოედნიდან. ბურჭულაძის „როლის“ გაგრძელება იკისრა მარჯვენა გარემარბმა ზ. ჯაშმა, რომელიც რამდენჯერმე მიღებული გაფრთხილების შემდეგ უკნიდან თავს დაესხა მოწინააღმდეგეს და აგრეთვე გაძევებულ იქნა მოედნიდან.

„მეტალურგის“ მოთამაშეები ამის შემდეგაც განაგრძობდნენ წესრიგის დარღვევას, უშვერი სიტყვებით ილანძღებოდნენ მცველი თ. ოთარაშვილი და სხვები. მალე სახიფათო და უხეში თამაშისათვის ნ. გილაურს მსაჯმა წინადადება მისცა დაეტოვებინა მოედანი, მაგრამ ნ. გილაურმა მსაჯის მოთხოვნა არ შეასრულა და მატჩი შეწყვეტილ იქნა.

რუსთავის „მეტალურგის“ დაუშვებელი საქციელი უნდა გახდეს გუნდის ხელმძღვანელების მსჯელობის საგნად, ხოლო ფეხბურთის რესპუბლიკურმა სექციამ უნდა მიიღოს მკაცრი ზომები დისციპლინის დამრღვევთა მიმართ.

სპორტული საღამო

4 დეკემბერს თბილისის ტაქსმოტორების პარკში პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით გაიმართა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი დიდი სპორტული საღამო.

ოსტატობის კანდიდატმა ნ. სოროკინმა პარკის მუშა-მოსამსახურეებთან ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში 12 დაფაზე. მან მოიგო 11 პარტია და მხოლოდ ერთი დაამთავრა ყაიმით. ძალოსანთა ასპარეზობაში უძლიერესი აღმოჩნდა ზეინკალი გ. მელქონიანი, რომელმაც მეორეჯერ მოიპოვა თბილისის ტაქსმოტორების პარკის ჩემპიონის წოდება სიმძიმეების აწევაში. გამარჯვებულს გადაეცა ჯილდო.

მსოფლიო რეკორდსმენმა რ. ჩიმიშკიანმა და სპორტის ოსტატმა ლ. სანაძემ შეკრებილთ უამბეს საერთაშორისო შეხვედრებში საბჭოთა კავშირის სპორტსმენების წარმატებებზე.

საღამოს დასასრულს მოეწყო მოკრივეთა საჩვენებელი გამოსვლები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩემპიონმა მძლოლმა კ. ბაბახანიდიმ, ზეინკლებმა ს. აბაზაძემ და ე. ჩერნიკოვმა, აგრეთვე ძმებმა დარბაისელებმა, ზუბიაშვილმა და სხვებმა.

ა. ხუჭუა

სპორტულ საზოგადოებებში

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტრუდი“

ლენინგრადში დამთავრდა „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სხვათა სპორტსმენები.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა. პირად პირველობაში ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ ალავიძე, ა. ალექპეროვი და რ. რაზმაძე. მეორე საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ ვ. ხარატიშვილი, გ. მამისაშვილი და ჟ. ლასურაშვილი.

„მედიკი“

15-დან 20 ნოემბრამდე ქალაქ ხარკოვში ჩატარდა „მედიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაზე დაიკავეს მეორე გუნდური ადგილი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: საშუალო წონაში ზ. მუხიაშვილი, მძიმე წონაში — ა ვარდოევი. ქვესაშუალო წონის მოჭიდავე შ. მახარობლიშვილი და უმჩატესი წონის მოჭიდავე ა. ჩუტალაშვილი მეორე ადგილებზე გამოვიდნენ. მესამე ადგილები წილად ხვდათ ლ. კაციაშვილს (მსუბუქი წონა) და ო. ვალიევს (ქვემსუბუქი წონა).

• • •

თბილისის სამედიცინო სასწავლებლების მძლეოსანთა პირველობაში მონაწილეობდა 9 სკოლის 200-მდე სპორტსმენი. ყველა სახეობათა მიხედვით გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა მე-4 სამედიცინო სასწავლებლის კოლექტივმა, მეორეზე — პირველი სამედიცინო სასწავლებლის, მესამეზე — მეორე სამედიცინო სასწავლებლის ფიზკულტურელები.



Молодой сталинец, თბილისის რკალი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ველოსიპედისტთა შეჯიბრება ქალაქის ქუჩებში, ანუ როგორც მას უწოდებენ „თბილისის რკალი“, დედაქალაქის სპორტსმენთა ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ღონისძიებაა. ამ მხრივ მისასალმებელია გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის“ ინიციატივა, რომელიც ყოველ წელს, გვიან შემოდგომაზე მართავს ველორბოლას — „თბილისის რკალი“.

30 ნოემბრისათვის ყველაფერი მზად იყო: სტარტი და ფინიში დაინიშნა რუსთაველის პროსპექტზე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ შენობის წინ. ტრასა საბოლოოდ დაიგეგმა და დამტკიცდა. საკვანძო ადგილები დაიკავეს კონტროლიორებმა. მსაჯთა კოლეგიამ უკანასკნელად შეამოწმა შეჯიბრებაში მონაწილეთა მზადყოფნა და სპორტსმენები მოეწყვნენ სტარტზე.

მესტარტის ნიშანზე სპორტსმენები ელვის სისწრაფით მოწყდნენ ადგილს და გეზი აიღეს ლენინის სახელობის მოედნისაკენ. როგორც შემდეგ რბოლის მიმდინარეობამ გვიჩვენა, ველოსიპედისტები ამ შეჯიბრებისათვის კარგად მომზადებულნი აღმოჩნდნენ. დიდი ჯგუფი თანაბარი სისწრაფით უახლოვდებოდა მოედანს. მაგრამ მალე ჯგუფს გამოეყო ლიდერი, რომელმაც თავის თავზე აიღო რბოლის ტემპი. ეს იყო დინამოელი ე. პოლოსიანი. ლენინის სახელობის მოედანზე ველოსიპედისტები იმდენად დიდი სისწრაფით შეიჭრნენ, რომ გამყოლმა მანქანებმა ძლივს მოახერხეს ჯგუფისაგან დაცილება. ლესელიძის ქუჩის თავიდან იწყება საკმაოდ გრძელი დაღმართი. აქ პოლოსიანს გაუსწრო ოთხეულმა: ვ. ჯონჯოლიანი, ე. ჯიმშელეიშვილი („ნაუკა“), ქ. შენგელია („დინამო“) და გ. ჯოხაძე („სპარტაკი“). მანქანების სპიდომეტრი უჩვენებს ველოსიპედებისათვის თავბრუდამხვევ სიჩქარეს... დაახლოებით 60-65 კილომეტრს საათში...

არც დანარჩენები უკლებენ ტემპს. ისინი ლიდერებს მჭიდრო ჯგუფად მოჰყვებიან 50 მეტრის მოშორებით. ასეთი თანმიმდევრობით მიაღწიეს სპორტსმენებმა 300 არაგველის ხიდს და „ცნობილ“ აღმართს. მართალია, დისტანციის ეს მონაკვეთი საკმაოდ დაშორებული ფინიშს, მაგრამ ველორბოლაში გამარჯვებულის სახელი უმეტესად ამ პატარა მონაკვეთზე ირკვევა. საკმარისია რომელიმე ველოსიპედისტი გავარდეს წინ — მისი დაწევა თითქმის შეუძლებელი ხდება...

მოულოდნელად, ისედაც მაღალ ტემპს კიდევ უფრო უმატებს გამოცდილი ოსტატი ვ. ჯონჯოლიანი, მოუმატეს ტემპს ლიდერთა ჯგუფის დანარჩენმა წევრებმაც. მაგრამ ჯონჯოლიანი უკვე შაუმიანის ქუჩაზეა.

დაღმართზე არ არის საჭირო დიდი ენერგიის დახარჯვა. აქ მთავარია მანქანის საჭე გეჭიროს მაგრად და სიჩქარე თავისით გაიზრდება. ბარათაშვილის დაღმართზე ელვასავით ჩაიქროლა ჯონჯოლიანმა და რამდენიმე წამის შემდეგ ჯოხაძემ, შენგელიამ და ჯიმშელეიშვილმა, მაგრამ ბარათაშვილის ხიდის შესასვლელთან ლიდერის მანქანა ჩავარდა ტრამვაის ლიანდაგის ჭრილს შუა. სპორტსმენმა წონასწორობა დაკარგა და დაეცა. იმავე წუთში სამეულმა შეუხვია სტალინის სახელობის სანაპიროზე და თვალს მიეფარა. ავარია არ გამოდგა სახიფათო, ჯონჯოლიანი კვლავ მანქანაზეა, მაგრამ წინწასულების დაწევა მეტად ძნელია.

კარლ მარქსის მოედანი. ჯოხაძე და შენგელია დიდი სისწრაფით შედიან პლეხანოვის პროსპექტზე. უეცრად ჯიმშელეიშვილმა გადასწრა მოედანი და მათ თავში მოექცა. მაგრამ სწორ გზაზე ასე ადვილად ვერ გასხლტები. ტემპი შენელდა, ველოსიპედისტები მორიგეობით გადიან წინ და ეხმარებიან ერთმანეთს ჰაერის წინააღმდეგობის დაძლევაში. ჯიმშელეიშვილი ხშირად უკან იყურება — ელის თავის თანაკლუბელის ჯონჯოლიანის გამოჩენას. ეს აუცილებელია გუნდური პირველობისათვის, მაგრამ უკანასკნელი ჯერ კიდევ არ ჩანს.

უკან დარჩა პლეხანოვის პროსპექტი, ჩელუსკინელების ქუჩა, ხიდი და გმირთა მოედანი. ლიდერები შეუდგნენ უკანასკნელ აღმართს ლენინის ქუჩაზე. ენერგიული ბიძგით შენგელია ცდილობს წინ გავარდნას. იგი ახერხებს დაწინაურებას რამდენიმე მეტრით, მაგრამ ჯოხაძე მას კვალდაკვალ მიყვება. ჯიმშელეიშვილი ოდნავ ჩამორჩა. აღმართის დასაძლევად დარჩა რამდენიმე ათეული მეტრი. ახლა უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ მომზადებას. შენგელია და ჯოხაძე უახლოვდებიან ფინიშის ხაზს... მათ მიყვება ჯიმშელეიშვილი.

აი, ფინიშიც!

„თბილისის რკალს“ არ ახსოვს ასეთი მედგარი ბრძოლა უკანასკნელ მეტრებზე. დისტანციის ბოლო მონაკვეთი თითქმის ერთნაირად გადაკვეთეს შენგელიამ და ჯოხაძემ. მაგრამ როგორც გამოირკვა შენგელია ნახევარი თვალით წინ ყოფილა სპარტაკელზე. იმავე წუთში ფინიშის ხაზი გადასჭრა ჯიმშელეიშვილმა, რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდა დიდი ჯგუფი, რომელსაც წინ მოუძღოდა ჯონჯოლიანი. იგი ფინიშთან მეოთხე იყო. „თბილისის რკალი“ მოიგო ქ. შენგელიამ, რომელმაც 10 კილომეტრი დისტანცია დაფარა 17.08,6.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს „დინამოს“ ველოსიპედისტებმა: ქ. შენგელიამ, ბ. გუკასიანმა, ა. თავაძემ, ვ. გუნიამ და ე. პოლოსიანმა. მეორე ადგილზე გამოვიდ „ნაუკის“, მესამეზე — „სპარტაკის“ გუნდი.

ნ. გუგუშვილი

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ქ. შენგელია. მარჯვნივ ველოსიპედისტები თბილისის ქუჩებში.

მსოფლიო პირველობა კალათბურთში

ბრაზილიის დედაქალაქი რიო-დე ჟანეირო დიდხანს ემზადებოდა კალათბურთში მსოფლიო პირველობის გასამართავად. ამ მიზნით აშენებული სპეციალური დახურული სტადიონი „მარაკანა" (40 ათას მაყურებლისათვის) მართლაც „ბრაზილიის მშვენება" იყო. სტადიონზე მოწყობილი ტელედანადგარი, 15 კაბინა რადიოკომენტატორებისათვის, პრესის ლოჟა 200 კაცისათვის, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი და მინით გადახურული ძირითადი და დამხმარე შენობები ამ სპორტულ ნაგებობას მსოფლიოში პირველ ადგილზე აყენებდა.

სამხრეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის პრესამ „მარაკანას" სტადიონს არაერთგზის უწოდა „მსოფლიოში კალათბურთის საუკეთესო სარბიელი". ეს სტადიონი მართლაც ქების ღირსია, მაგრამ ამას ვერ იტყვით თვით კალათბურთელთა ტურნირის შესახებ, რომელშიც მხოლოდ 12 გუნდი მონაწილეობდა. ფრანგულმა გაზეთმა „იუმანიტემ" ამ პირველობას „ყალბი ჩემპიონატი" უწოდა.

მართლაც, მონაწილეთა შემადგენლობა არ გამოხატავდა მსოფლიოს კალათბურთსა და განსაკუთრებით ევროპის კალათბურთს. ტურნირში არ მონაწილეობდნენ არგენტინა — პირველი მსოფლიო ჩემპიონი კალათბურთში, საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. ამრიგად, შეჯიბრებაზე დაშვებულ არ იქნენ ევროპის ჩემპიონი, სსრ კავშირისა და ამავე პირველობის პრიზიორი — უნგრეთის გუნდები. ევროპის ქვეყნებიდან მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მხოლოდ საფრანგეთი მონაწილეობდა.

იმ ქვეყნებში, რომლებიც დაშვებულ იქნენ პირველობაზე, სამზადისი დიდი ხნით ადრე გაიშალა. ბრაზილიის გუნდი ჩემპიონატისათვის სამი თვე ემზადებოდა გამოცდილი მწვრთნელის კაპელას ხელმძღვანელობით. გუნდის საჭიროებისათვის სახელმწიფოს მიერ ასიგნებულ იქნა სამასი ათასი კრუიზერო. ბრაზილიელები დიდ იმედებს ამყარებდნენ თავიანთი ქვეყნის წამყვან კალათბურთელებზე: ზენიზე, აზევედოზე, ფაუსტოზე, 19 წლის პირესზე და 17 წლის მარკესზე.

ჩილის სპორტსმენებმა საწვრთნელ ვარჯიშებს მიუძღვნეს მთელი აგვისტო. 1950 წელს მსოფლიო პირველობაში (პირველი ჩემპიონატის ჩატარების წელი) მათ დაიკავეს მესამე ადგილი. ამ პირველობაში კი ისინი ფიქრობდნენ შედეგის გაუმჯობესებას.

ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი მთლიანად დაკომპლექტდა „პიორია კეტსის" კლუბის წევრებისაგან (ორი უკანასკნელი წლის ჩემპიონი), რომლის მოთამაშეთა საშუალო სიმაღლე 1 მ 94 სმ იყო. ფარქვეშ მეტად აქტიური მოთამაშე ბორნის სიმაღლე აღწევდა 2 მ. და 5 სმ. მინტერი, რომელიც გამოირჩეოდა შორიდან სროლებში — ორმეტრიანი იყო. მაღალტექნიკურად თამაშობდნენ აგრეთვე სტრეტონი, შეტსი, ჯონსონი, რეზერფორდი, კერბი. ამ გუნდის არც ერთი კალათბურთელი არ მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში. კანადის გუნდი შედგებოდა „ვინიპეგის" კლუბის წევრებისაგან, გაძლიერებული — „პანპეკის" კლუბის მოთამაშეებით.

გაცხოველებით ემზადებოდნენ პირველობისათვის საფრანგეთისა და იუგოსლავიის გუნდებიც. ფრანგების შემადგენლობაში იყვნენ დესემი, მონკლარი, ბიუფერი, ზაგური, ბერნისენი, ანტუანი, გრანტი, ოდეგანი და ბენიო (სიმაღლე, 2 მ 7 სმ). იუგოსლავიის გუნდში გამოირჩეოდა კონოვიჩი (სიმაღლე 2 მ, 3 სმ) და მილოვანოვიჩი.

ფინალური შეხვედრების პირველი დღე დაიწყო მოულოდნელობით. საფრანგეთის გუნდმა ბრწყინვალედ დაამარცხა ურუგვაის კალათბურთელები — 57:49. ფრანგებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისელებისათვის ნაცნობი ბიუფერი, დესემი და მონკლარი. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა დაამარცხა ფილიპინები — 56:43. ბრაზილიამ — გომინდანელები 61:44, კანადამ — ისრაელი — 50:43.

შემდეგ დღეს ა შ შ-ს წარმომადგენლები თამაშობდნენ ფრანგებთან. ამერიკის გუნდი გამოვიდა ასეთი შემადგენლობით: ბორნი, სტრეტონი, შეტსი, რეზერფორდი, კერბი და ჯონსონი. ამერიკელებმა თამაშის პირველსავე ნახევარში მიაღწიეს შესამჩნევ უპირატესობას. ფრანგების მწვრთნელმა ბიუსნელმა ნახა რა, რომ წაგება გარდუვალია, ძალები შეინახა მომავალი შეხვედრებისათვის და მეორე ნახევარში გამოიყვანა სათადარიგო შემადგენლობა. მატჩის საბოლოო შედეგია 70:49 — ამერიკის კალათბურთელთა სასარგებლოდ.

მესამე დღის ყურადღების ცენტრში იყო აშშ-ს და ურუგვაის შეხვედრა. თამაში დაიწყო ურუგვაელთა შეტევით, რომლებმაც სამჯერ მოახერხეს ბურთის ხელში ჩაგდება. შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 9:9. ამერიკელი კალათბურთელები მოქმედებდნენ უფრო მშვიდად, დამაჯერებლად და ოსტატურად. მათ ჯერ წაიყვანეს ანგარიში, ხოლო შემდეგ სულ უფრო და უფრო შეავიწროვეს მოწინააღმდეგის დაცვა. შესვენების შემდეგ ურუგვაელებმა გაზარდეს ტემპი, მაგრამ თამაშში გარდატეხის მოხდენა ვერ შეძლეს. შეხვედრა მოიგო აშშ-ს გუნდმა — 64:59.

ჩემპიონატის მეოთხე დღეს ფილიპინელებმა გაანადგურეს ისრაელის კალათბურთელები — 90:56, ხოლო აშშ-ს გუნდმა დაამარცხა კანადა — 84:50.

საფრანგეთის კალათბურთელთა კოლექტივმა მეხუთე წრეში მოულოდნელი დამარცხება განიცადა ისრაელისაგან. ისრაელის დაცვა მჭიდროდ დარაჯობდა ფრანგების თავდასხმას, განსაკუთრებით კი ბენიოს. მოედანზე ოდეგანის გამოსვლამ ფრანგების მდგომარეობა ოდნავ გააუმჯობესა. მეორე ნახევარში ფრანგებმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრებაც კი 43:43, მაგრამ დამატებით დროში ისრაელის კალათბურთელებმა, რომლებიც ფიზიკურად უკეთ მომზადებულები აღმოჩნდნენ, მაინც მოიპოვეს გამარჯვება — 48:45. ამავე დღეს ბრაზილიამ დაამარცხა ფილიპინები — 57:41.

ბრაზილია-საფრანგეთის მატჩი—მეექვსე დღის ცენტრალური შეხვედრა იყო. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა—49:36. ამ დამარცხების შედეგად ფრანგებმა დაკარგეს მესამე ადგილი, რომელზედაც გადაინაცვლა ფილიპინების გუნდმა (კანადასთან 83:76 მოგების შემდეგ). გომინდანელებმა მორიგი დამარცხება განიცადეს აშშ-ს გუნდთან — 28:72.

საპრიზო ადგილების გამოსავლინებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფილიპინებისა და საფრანგეთის გუნდების შეხვედრას მეშვიდე ტურში. საჭირო მოგებით (66:60) ფილიპინების გუნდმა მტკიცედ დაიმკვიდრა მესამე ადგილი.

მერვე ტურში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს აშშ-ს და ბრაზილიის კალათბურთელებმა. მათ დაამარცხეს ისრაელისა და ურუგვაის გუნდები. ფრანგებმა მოუგეს კანადას — 66:62. ამ შეხვედრაში განსაკუთრებით შედეგიანობით გამოირჩეოდა ბიუფერი და ბენიო. უკანასკნელი დღისათვის ამერიკისა და ბრაზილიის გუნდებს არ ჰქონდათ წაგება. მათ შორის შეხვედრას უნდა გამოევლინებინა მსოფლიოს ჩემპიონი.

ანგარიში გახსნეს ბრაზილიელებმა. მაგრამ მათ დიდი ხნით ვერ შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება. მალე გამომჟღავნდა აშშ-ს კალათბურთელთა უპირატესობა, რომლებიც გამოირჩეოდნენ ფიზიკური მომზადებით. მატჩის მე-14 წუთზე ანგარიში იყო 30:18, ხოლო პირველი ნახევრის საბოლოო შედეგი — 35:19 აშშ-ს სასარგებლოდ. მეორე ნახევარში ბრაზილიელები ვერ იხსნა დამარცხებისაგან მრავალრიცხოვანმა შეცვლებმა. მატჩის საბოლოო შედეგია — 62:41. ამ დღეს ფილიპინებმა მოუგეს (67:63) ურუგვაის, ხოლო გომინდანელებმა — ისრაელს (51:38).

მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. მეორე ადგილი დაიკავა ბრაზილიის კალათბურთელთა ნაკრებმა. მესამეზე გამოვიდა ფილიპინები. შემდეგ არიან საფრანგეთი, ურუგვაი, გომინდანელები, კანადა და ისრაელი.

ბრაზილიის პროვინციულ ქალაქებში ტარდებოდა 9–12 ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების ტურნირი. აქ ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: პარაგვაი, ჩილი, იუგოსლავია და პერუ.

უცხოეთის სპორტულ მიმომხილველთა აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი ტურნირის უძლიერესი მონაწილე იყო. ამერიკელი კალათბურთელები კარგად იყვნენ მომზადებულნი ტექნიკურად და ტაქტიკურად. ისინი მრავალფეროვან კომბინაციებს კალათში ზუსტი სროლებით აგვირგვინებდნენ. ამერიკელები გამოირჩეოდნენ კარგი ფიზიკური მომზადებითაც. მაგრამ მათ თამაშსაც ჰქონდა უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებით დაბალ დონეზე დგას ამერიკელთა გუნდში საჯარიმო სროლების გამოყენება. ამ მხრივ საგულისხმოა მათი შეხვედრა კანადასთან. აშშ-ს გუნდმა 34 საჯარიმო სროლიდან მხოლოდ 14 გამოიყენა (41 პროცენტი) ფრანგული გაზეთის „მონდის" აზრით, საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა გუნდის მონაწილეობა გაართულებდა ამერიკელთა გამარჯვებას.

მრავალრიცხოვან კორესპონდენტთა აზრით, ბრაზილიელთა თამაშის ძირითადი დამახასიათებელი თვისება აქტიურობა, სისწრაფე და შეტევაა. ტექნიკურად კი ისინი საგრძნობლად ჩამორჩებიან ამერიკელებს. ფილიპინების გუნდმა მაყურებელს მაღალტექნიკური თამაში აჩვენა და დამსახურებულად დაიკავა მესამე ადგილი. ფრანგმა კალათბურთელებმა ტურნირი არათანაბარი სიძლიერით ჩაატარეს.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ცნობა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილისა და ვადების შესახებ. ვაჟთა მესამე მსოფლიო პირველობა გაიმართება 1958 წელს სანტ-იაგოში (ჩილი). ხოლო ქალთა მეორე პირველობა 1957 წელს რიო-დე ჟანეიროში.

ფედერაციამ იმსჯელა არგენტინისა და ეგვიპტის გუნდების საქციელზე (მათ უარი განაცხადეს შეჯიბრებაში მონაწილეობაზე) და დაადგინა, რომ მსოფლიო პირველობის მონაწილეებს ორი წლის განმავლობაში ეკრძალებათ არგენტინასა და ეგვიპტეში გამოსვლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის პირველობაზე გამართული საშაშო ტურნირი. მონაწილეობდა თეატრის 13 მუშაკი.

პირველი ადგილი დაიკავა მსახიობმა დ. ცხაკაიამ, მეორე ადგილი წილად ხვდა მ. დადუნაშვილს.

სურათზე ტურნირის ერთ-ერთი დღე.

ახალგაზრდების წარმატება

ერთი თვის დაძაბული ბრძოლის შემდეგ თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა დედაქალაქის 1954 წლის საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალური შეჯიბრებები. ფინალურ ტურნირში გასვლისათვის იბრძოდა 64 მოჭადრაკე, რომელნიც თამაშის კლასისა და თანრიგის მიხედვით დაყოფილი იყვნენ ხუთ ჯგუფად.

ბრძოლა ყველა ნახევარფინალში ახალგაზრდობის შეუპოვარი წინსვლით აღინიშნა. საბოლოოდ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და ფინალურ ტურნირში (რომელიც 1955 წლის იანვარში დაიწყება) მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ახალგაზრდებმა ე. სიმონიანმა, თ. კიკიანმა, გ. ვაშაკიძემ, გ. კალატოზიშვილმა, თ. სვანიძემ, დ. ჯანოევმა და გამოცდილმა პირველთანრიგოსანმა შ. ინწკირველმა, ტ. არუთინოვმა და ა. ოგანეზოვმა.

შეჯიბრების მონაწილეთათვის შექმნილი იყო ყველა პირობა, რომ სრულად გამოევლინებინათ შემოქმედებითი ფანტაზია და ცოდნა. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც გასულ წელს, ახლაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთი მონაწილის არასპორტული საქციელის გამოვლინების ფაქტს. ამის შესახებ მსაჯთა კოლეგიამ იშუამდგომლა თბილისის საჭადრაკო სექციის წინაშე, რომელმაც ამ საკითხზე იმსჯელა და პირველი თანრიგის მოჭადრაკეებს ა. კოპილევიჩს, ნ. მღებროვს, ა. ფიჩხაძეს, ო. პატარაიას, გ. ოვანესიანს, ე. ბარამიძეს, ჯაბაურსა და გ. ძინძიბაძეს 6 თვით ჩამოერთვათ საჭადრაკო შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება.

უნდა ითქვას, რომ თბილისში ამჟამად აღრიცხვაზეა 120 პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე, რომელთა უმრავლესობა გამოვლინებულია სპორტსაზოგადოებათა მიერ ჩატარებულ ტურნირებში. მაგრამ, როგორც დამთავრებულმა ნახევარფინალებმა გვიჩვენეს, ამ მოჭადრაკეთა უმრავლესობა ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. ისინი უფრო სუსტად თამაშობენ, ვიდრე ეს პირველთანრიგოსანს მოეთხოვება. გარდა ამისა, ასეთი მოჭადრაკეები სწორედ შეჯიბრების ჩაშლისა და ყველა იმ უწესრიგობის აქტიური მონაწილეები არიან, რომელსაც ადგილი აქვს ამ ბოლო წლებში ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებაში. ეს უწესრიგობა სახელდობრ გამოიხატება იმაში, რომ ისინი ცდილობენ არასპორტული გზით მიაღწიონ გამარჯვებას, აჭიანურებენ გადადებული პარტიების დამთავრებას, გაურბიან გადამწყვეტ შეხვედრებს და ბევრი მათგანი დამარცხების შემთხვევაში სულაც ტოვებს შეჯიბრებას.

ჩვენში არსებობს ჭადრაკში თანრიგის მინიჭების ერთიანი წესი: მოჭადრაკეს თანრიგი ენიჭება გარკვეული ვადით და თუ ამ ხნის განმავლობაში იგი თანრიგს ვერ ამტკიცებს, თანრიგი ჩამოერთმევა. ეს წესი მოჭადრაკეს ავალებს სისტემატურად იმუშაოს თავის თავზე და იფიქროს წინსვლაზე. ამჟამად გვყავს ისეთი პირველი თანრიგის მოჭადრაკეები, რომელნიც ჭადრაკს სრულებით ჩამოშორდნენ, ან კიდევ წლების მანძილზე ვერ ამტკიცებენ თანრიგს, ხოლო თანრიგოსანის უფლებით სარგებლობენ. საჭიროა თბილისის საჭადრაკო სექცია დროულად მიაქციოს ამას ყურადღება.

ვ. ქარსელაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სტუდენტთა შეჯიბრება

დამთავრდა თბილისის პირველობა ფეხბურთში უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს შორის. გათამაშებაში მონაწილე კოლექტივები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. ცალკე ჯგუფს შეადგენდნენ ტექნიკუმების გუნდები.

პირველ ჯგუფში პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელებმა (მწვრთნელი ა. გუკასიანი). მეორე ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე გუნდი.

ტექნიკუმებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა მეტალურგიული ტექნიკუმის ახალგაზრდული კოლექტივი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის მთელ რიგ სასწავლო დაწესებულებებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ფეხბურთის განვითარებას. მაგალითად, გასულ წლებში გათამაშებაში მონაწილეობდნენ ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ფეხბურთელები, ამჟამად კი ამ ინსტიტუტს გუნდი არა ჰყავს. გუნდები არ ჰყავთ აგრეთვე პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს, ტოპოგრაფიულსა და რადიოტექნიკუმებს.

ა. გონელი

სპორტული ქრონიკა

სიღნაღი. დამთავრდა რაიონის სკოლების პირველობა კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთში ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა ანაგის გუნდმა, გოგონათა შორის სიღნაღის პედსასწავლებლის კოლექტივმა.

ფრენბურთში უძლიერესნი იყვნენ: სიღნაღის პირველი საშუალო სკოლის წარმომადგენლები (ჭაბუკებში) და სიღნაღის მეორე საშუალო სკოლის წარმომადგენლები (გოგონებში).

თ. გოგიაშვილი

• • •

სტალინირი. აქ გაიმართა კომკავშირის სახელობის ტრადიციული ამანათრბენი. ვაჟთა შორის დისტანცია (5562 მეტრი) კარგად გაირბინეს სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის მძლეოსნებმა — 12:17,7.

ქალთა ამანათრბენში პირველობა წილად ხვდა ქალაქის მე-3 სკოლის გუნდს.

ვ. კასრაძე

რაიონის ჩემპიონები

დამთავრდა გარეუბნის რაიონის პირად-გუნდური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ: დიღმის მექანიზაციის ტექნიკუმის, წყნეთის მახარაძის სახელობის, დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობისა და სხვა გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა დიღმის მექანიზაციის ტექნიკუმის პირველმა გუნდმა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ვ. ხეჩუაშვილმა (წყნეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა), ბ. მაისურაძემ, გ. მარუაშვილმა, ლ. ბულკაშვილმა (დიღმის მექანიზაციის ტექნიკუმი), შ. გენებაშვილმა ზ. კოტორაშვილმა (დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა), ი. კაპაროზაშვილმა, ა. ჯავახიშვილმა (დიღმის მექანიზაციის ტექნიკუმი).

ვ. ჯამბაზიშვილი

რედაქტორი **ი. უზულავა.**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 15830